

განათლება+

№ 2 (4561) 14 თებერვალი 2018 წელი გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი

თბილისის 106-ე საჯარო – მინისტრის ახალი ინიციატივების მხარდამხარ

პროექტების მრავალფეროვნება – წარმატებულ სკოლაში



ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლებში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. სწორედ, სწავლა და დისციპლინა არის თბილისის 106-ე საჯარო სკოლის ძირითადი პრიორიტეტი და ამიტომაც არის, რომ აქ ყოველწლიურად სიახლეები იწვევება. ღვაწლმოსილი დირექტორი **თენგიზ გულორდავა** ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ სკოლა ესთეტიურადაც მიმზიდველი იყოს და რაც მთავარია, მაღალ შედეგებზე იყოს ორიენტირებული.

ჩვენს გაზეთში არაერთხელ გაუქუბებულა 106-ე სკოლის სიახლეები და წარმატებები. განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრის **მიხეილ ჩხენკელის** რეფორმისეულ ინიციატივებს უმაღლესადაც მხარი ამ სკოლამ. გაგაცნობთ 106-ე წარმატებული სკოლის პედაგოგთა ნაღვანს, განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებს.

*** იხსიარულე, ლიტერატურული „ბუხარი!“

ყველამ კარგად ვიცით, რომ წიგნი, სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, უმთავრესია სწავლა-განათლებაში. ის არა მარტო თანამედროვეებს აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ სხვადასხვა თაობებსაც.

ლიტერატურას როგორც შემეცნებითი, ისე უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ვაკეთებთ ყველაფერს, რომ მოსწავლეები გახდნენ აქტიური მკითხველები. უკვე დიდი ხანია დაარსებულია ლიტერატურული კლუბი „**ბუხარი**“. მისი ხელმძღვანელია ქართული ენისა და ლიტერატურის ჩინებ-

ული პედაგოგი **ლია ზურაბიშვილი**. წევრები გახლავთ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები: **ანა კუტუბიძე, გვანცა ჩხეთიანი, მარიამ სართანია, ვალერიან სოზაშვილი, მარიამ ჩიქოვანი, სალომე ხუჯაძე, ვაჟა ლუტიძე, სალომე ხმალაძე, გუგა ცუხიშვილი, ნინო მესროფაშვილი, ანასტასია სიჩევსკი, ნაზი კაველიძე, გიორგი ნაცვლიშვილი, ანა მაკარიძე**. თითოეული მათგანი დაჯილდოებულია შემოქმედებითი ნიჭით, უყვართ წერა, ხატვა, სიმღერა. აღსანიშნავია, რომ **სალომე ხმალაძისა** და **მარიამ ცუხიშვილის** ლექსები, ნახატები გამოქვეყნდა ჟურნალ „**დილაში**“, რომელთანაც აქტიურად ვთანამშრომლობთ. ლიტერატურული კლუბი გამოსცემს საკუთარ ჟურნალსაც, სახელწოდებით „**ბუხარი**“, რედაქტორია: **ანა კუტუბიძე** და მოადგილე **გვანცა ჩხეთიანი**. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გამოაქვეყნონ თავიანთი ნამუშევარი. მართალია, ბევრი ვერ გახდება დიდი მწერალი და პოეტი, მაგრამ დამერწმუნეთ, მათ **ყვარებათ წიგნი**, იქნებიან ნამდვილი მკითხველები. ლიტერატურული კლუბი ხშირად აწყობს ღონისძიებებს, შეხვედრებს საინტერესო ადამიანებთან. მედიათეკაში ჩავატარეთ პოეტ **ვაჟა ოთარაშვილის** შემოქმედებითი საღამო, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მაღალვაპირებთ პოეტ **თავმას ჩოხელის** სკოლაში მოწვევას და ვემზადებით ღონისძიებისათვის. ლიტერატურული კლუბის წევრებს ურთიერთობა აქვთ დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან. ისინი ხშირად ხვდებიან პატარა მეგობრებს და აცნობენ თავიანთ შემოქმედებას. უკითხვენ საკუთარ ლექსებს, მოთხრობებს, ავსებენ რებუსებსა და კროსვორდებს. ცეროდენებს კი სურვილი უჩნდებათ თავადაც

შექმნან და გააკეთონ, ისწავლონ კარგად, იყვნენ წარმატებულები. ლიტერატურული კლუბის წევრებს ერთი ლამაზი ოცნება აქვთ, სურთ მოამზადონ გადაცემა „**ლიტერატურული შუადღე**“, რომლის წამყვანები იქნებიან: **სესილი მგალობლიშვილი, ანა ანთიძე, მარიამ დავითაშვილი და მარიამ ჯვანი**. გვჯერა, სკოლის დირექტორი ბატონი **თენგიზ გულორდავა** და დირექტორის მოადგილე ქალბატონი **ნაზი სეთურიძე** როგორც ყოველთვის, ახლაც დაგვეხმარებიან ნატურის ახდენაში.

ლია ზურაბიშვილი

„მართონი კითხვაში“, ანუ წიგნი და ისევ წიგნი!

ამ საუკუნის ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენს წიგნიერების დაბალი დონე, რისი მიზეზიც გახლავთ **წიგნის კითხვის კომპიუტერული თამაშებით ჩანაცვლება**. ინფორმაციის ძალიან დიდი ნაკადის ფონზე, რომელსაც ადამიანი მედია და ინტერნეტ საშუალებებით იღებს, მას არც დრო და აღარც სურვილი რჩება, წაიკითხოს წიგნი და ამით მიიღოს სიამოვნება. არადა, წიგნის კითხვას, გარდა ინფორმაციის მიღებისა, უამრავი სხვა ფუნქცია აქვს. ეს აქტივობა ზრდის ლექსიკურ მარაგს, გვაძლევს ჩვენი არაჩვეულებრივი ენის სრულყოფილად დაუფლების საშუალებას, ავითარებს მოსწავლის ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარს, აძლევს გაგებულის უკეთ შეგრძნების საშუალებას, ნაწარმოების პერსონაჟებთან,



სხვადასხვა სიტუაციებში მარტო დარჩენის შესაძლებლობას. პრობლემაზე მუშაობა კითხვის სწავლების საწყის ეტაპზევე უნდა ხდებოდეს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მივანვლით თითოეულ ასობგერას, სიტყვას და წინადადებას ბავშვს. თუ ყოველი ასობგერა თავისი მოხაზულობით, ხელის მოძრაობით, გარკვეულ საგნებთან და მოვლენებთან დაკავშირებით, ბავშვისთვის აღმოჩენა იქნება, მის გონებაში ანბანისადმი ინტერესი და სიყვარული, სურვილი, სწორად ააწყოს ამ ასოებით სიტყვები დიდად გაიზრდება, სიტყვებით კი წინადადებების შედგენა და წაკითხვა სამყაროს შეცნობაში დაეხმარება.

კითხვის ჩვევის დაუფლება დიდ ნებისყოფას, ყურადღებას, მესხიერებას და აზროვნებას ითხოვს, რომელსაც თუ ძლიერი მოტივაცია არ ახლავს, ხშირ შემთხვევაში მარცხით მთავრდება. შედეგად ვღებულობთ წიგნის მიმართ უინტერესო დამოკიდებულებას და საბოლოო ჯამში კი – წიგნიერების დაბალ დონეს. კითხვის ტექნიკის დაუფლების ერთ-ერთი წამყვანი მოტივი ინტერესია.

მეორე მოტივად შეიძლება განვიხილოთ შეჯიბრი. კაცობრიობის ისტორიაში უამრავი მაგალითი არსებობს მიზნის მისაღწევად შეჯიბრის გამოყენებისა. მაგალითად, სპორტული შეჯიბრებები. ეს პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნას კითხვის ტექნიკის დაუფლების პროცესში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, პირველ კლასში, როდესაც ბავშვი იწყებს კითხვის სწავლას, სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მისაღწევი შედეგი. მიზანშეწონილად ჩავთვალოთ I კლასში განმეხორციელებინა პროექტი – „**მართონი კითხვაში**“, რომლის მიზანია, მეორე სემესტრის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი წიგნი წაიკითხოს ბავშვმა და რაც შეიძლება მეტი ინტერესით იკითხოს.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს მეორე სემესტრის დასაწყისში დახვდათ ფორმატი, სათაურით „**მართონი კითხვაში**“. მათ პირველსავე დღეს დაურიგდათ, მცირე ზომის, მარტივი წინადადებებით შედგენილი წიგნები, რომლის წაკითხვაც მიეცათ დრო, ერთი კვირა. მშობლის დიდი როლი არ



გამოვრიცხოთ. მათ უნდა შეძლონ და არა თვითონ წაუკითხონ, არამედ ბავშვს წაკითხონ დარიგებული წიგნები. მოსწავლეს წიგნი წაკითხულად ეთვლება, თუ მასწავლებლის მიერ მითითებულ ნებისმიერ წინადადებას წიგნიდან ადვილად წაიკითხავს და უპასუხებს ერთ, ან ორ შეკითხვას წიგნში შემავალი მოთხრობის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნი ბავშვს უბრუნდება უკეთ გასააზრებლად. გამოკითხვა კვირის განმავლობაში ინდივიდუალურია, შედეგები ფასდება სტიკერებით უკვე წინასწარ გამზადებულ ფორმატზე. წლის ბოლოს კი თითოეული მოსწავლის მიერ წაკითხული წიგნების რაოდენობა ოცამდე გაიზრდება.

მეორე აქტივობა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლე მიეჩვიოს ჩუმად კითხვას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. მათ ყოველდღე დაფაზე ხვდებათ ერთი, ოთხი, ან ხუთსიტყვიანი კითხვითი წინადადება, რომელიც ჩუმად თვალთ უნდა წაიკითხონ, პასუხი ფურცელზე დააფიქსირონ და მიაწოდონ მასწავლებელს. კითხვები ირჩევა მიმდინარე საგაკვეთილო თემადან. სწორი და არასწორი პასუხების შედეგები, ასევე წესების დარღვევის შედეგებიც (კარნახი, მეტად ხმამაღლა წაკითხვა) ფიქსირდება წინასწარ მომზადებულ ცხრილში პლიუსი (+) ან მინუსი (-) ნიშნით. ბოლოს თვითონ ითვლის ბავშვი მის მიერ დაგროვილ ქულებს და გამოვლინდება გამარჯვებული, რომელიც დაჯილდოვდება, როგორც საუკეთესო მკითხველი. წლის ბოლოსთვის ისინი წაკითხვან დაახლოებით 50-

პროექტების მრავალფეროვნება — წარმატებულ სკოლაში

← დასაწყისი | გვერდიდან

60 ახალ კითხვით წინადადებას და დანერგვას ამდენივე სწორ ან არასწორ პასუხს. ეს კი პირველი კლასელისთვის საკმაოდ დიდი შრომაა.

პროექტი „მართონი კითხვაში“ იზომება სტიკერების და +, - ის საშუალებით. წლის ბოლოსთვის თუ მოსწავლეთა 60-70% დააგროვებს მთლიანი რაოდენობის 70-80%, მიზანი მიღწეულად ჩაითვლება.

საწყის ეტაპზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი პროექტში. აქტიურად ითხოვენ ახალ-ახალი წიგნების დარიგებას. დიდი ინტერესით კითხულობენ დილის შეკითხვას, რათა დროულად დააფიქსირონ სწორი პასუხი. არასწორი პასუხის შემთხვევაში, უბრუნდებიან კითხვის პროცესს და ცდილობენ მოიპოვონ პლიუსები (+). ვთვლი, რომ დაწყებული პროექტი სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება ჩვენი მოსწავლეებისთვის, ისინი ადვილად დაუფლებიან კითხვის ტექნიკას და გაუჩნდებათ ინტერესი წიგნების მიმართ.

მაია ზალიშვილი,
I კლასის ხელმძღვანელი,
პროექტის ავტორი

დაწყებითი კლასის ეფექტიანი პროექტი

სკოლისთვის წინგადადგმული ნაბიჯია დაწყებით კლასში განხორციელებული პროექტი, სახელწოდებით: — „და დედაზე უფრო თბილი, ვინ გყავს მითხარ, კითხვა დავსვი?“ მისი მთავარი იდეა იყო, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედის როლს ქვეყნის ცხოვრებაში. სიტყვა „დედა“ გეოგრაფიაში, ისტორიაში და საერთოდ, ჩვენს ყოფაში. დედაშვილობის მნიშვნელობა ადამიანებში, ცხოველებში, ფრინველებში და მწერებში, მისი სიძლიერე და ძალა ცხოვრებაში.

პროექტის აქტუალობა გამოიხატება იმაში, რომ დღევანდელი გარემო პირობებიდან გამომდინარე ბევრი დედის სიბოროს მოკლებული იზრდება. ამიტომ შევასხენოთ მოსწავლეებს დედაშვილობის მნიშვნელობა და მისი ძალა. პროექტის მიზანია — ბავშვებმა მოიძიონ, მოკვლიონ, როგორი სახის დედაშვილობა არსებობს მხატვრულ ნაწარმოებებში, გაესაუბრონ მეგობრებს, მშობლებს, დაადგინონ მსგავსება და განსხვავება ადამიანურ, ცხოველურ, ფრინველებსა და მწერებს შორის გრძობებზე. გააკეთონ სლაიდები, ფოტო მასალა, გაზეთები, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები. მონაწილეთა ასაკი: 1-ლი კლასის მოსწავლეები, მშობლები. ვადები და ხანგრძლივობა: ორი თვე. მოსალოდნელი შედეგები პროექტები, რაც შეიძლება შეიქმნას: ფილმები, სლაიდები, ფოტო მასალა, გამოფენები, პრეზენტაციები. პროექტისთვის საჭირო ძირითადი რესურსები: ვიდეო და აუდიო მასალა, პროექტორი, კომპიუტერი. პრო-

ექტის მსვლელობა: ბავშვების დაყოფა 5 ჯგუფად: I ჯგუფი მოიძიებს მაგალითებს ადამიანების დედაშვილობის შესახებ. II ჯგუფი ცხოველების დედაშვილობის შესახებ. მე-3 ჯგუფი — ფრინველების დედაშვილობის შესახებ. მე-4 ჯგუფი — მწერების



მაგალითზე. მე-5 ჯგუფი — მოიძიებენ ისტორიიდან მასალებს დედის შესახებ.

პროექტში გათვალისწინებულია მოძიებული მასალის დახარისხება, დროის განერა, აუდიო და ვიდეო მასალა, მცირე ლონისძიება, დისკუსია, პრეზენტაცია. საგნებთან/საგნობრივ ჯგუფებთან/ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი:

მოზარდებს განუვითარდებათ კვლევა-ძიების, ინფორმაციის დახარისხების, თანაგანცდისა და ემფატიის, თანამშრომლობის და პრეზენტაციის, სხვებისათვის სარგებლიანობის უნარები.

მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთის დედებს, იღებენ მეგობრების, მშობლებისაგან ინტერვიუებს, ამით უახლოვდებიან ერთმანეთს და უყალიბდებიან პატივისცემის გრძობა.

რიტა ყიფშიძე,
პროექტის ხელმძღვანელი,
დაწყებითი კლასის მასწავლებელი

„ჩვენ და თეატრი“, ანუ მშვიდნიარების სამყაროში

სასწავლო წლის დასაწყისში წამოვიწყეთ მთელ წელზე განერილი პროექტი — „ჩვენ და თეატრი“, რომლის მიზანია თეატრალური ხელოვნებით დაინტერესება, ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარის განვითარება. პროექტი შესაძლებლობას იძლევა, რომ მოსწავლეებმა ნაიკითხონ წიგნები, გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები და წყაროები. შესაბამისად, იზრდება მათი მოტივაციაც.

ბავშვებმა მოიძიეს მრავალფეროვანი ინფორმაცია თეატრის შესახებ და კლასის წინაშე წარმოადგინეს საინტერესო მასალები. მთელი წლის განმავლობაში დაგვეგმეთ ლიტერატურულ თეატრში 4 წარმოდგენის ნახვა. I სემესტრში ვესტუმრეთ აღნიშნულ თეატრს, სადაც დავესწარი სპექტაკლებს „ნაცარქეჩია“ და „სიბრძნე სიცრუისა“. ბავშვებმა დიდი ინ-

ტერესით უყურეს სპექტაკლებს. შემდეგ მოხდა მათი კლასში განხილვა, შთაბეჭდილებების გაზიარება, ემოციების ფურცელზე გადმოტანა, დასურათება. იმსჯელეს მთავარი გმირების დადებით და უარყოფით თვისებებზე, ასევე გაითამაშეს პატარ-

პატარა ეპიზოდები და მოაწყეს „თოჯინების თეატრი“. პარალელურად ბავშვები მუშაობენ გაზეთზე, რომელიც გამოიცემა პროექტის ბოლოს.

აღნიშნული პროექტის განხორციელებაში მხარი დაგვიჭირა ადმინისტრაციამ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

II სემესტრში დედის დღესთან დაკავშირებით ვგეგმავთ ახალ პროექტზე მუშაობას „დედა, სიცოცხლის დიდო საწყისო“. ამით უფრო ხალისიანს გავხდით სასკოლო ცხოვრებას.

ხათუნა გასიტაშვილი,
დაწყებითი კლასების პედაგოგი

„მეტი, ვიდრე მშობელი“

სკოლა და მშობელი — ერთმანეთისგან განუყრელია. დღევანდელ ვითარებაში აუცილებელია მშობელთა აქტიურობა, ინტერესი და ჩართულობა საკუთარი შვილის სასკოლო ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი, დაწყებით საფეხურზე. ეს ამბავი ყველაზე უკეთ მასწავლებლებს გვესმის, გვანუხებს და ვცდილობთ, როგორ მივიღოთ ეფექტური და ნაყოფიერი შედეგი. მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია როგორც სწავლაში მოსწავლის შედეგების გაუმჯობესების, ასევე მისი უნარ-ჩვევების განვითარებისთვისაც. იცვლება მშობლის სოციალური, ემოციური მხარე და პიროვნული თვისებები. ბავშვის განათლების პროცესში მონაწილეობის შედეგად მშობელი ხდება უფრო გამგები, მზრუნველი, ინტერესიანი, თავდაჯერებული.

კვლევების თანახმად, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ, აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. მშობელთა ჩართულობა და აქტიურობა ამდიდრებს სკოლის კულტურას, ხელს უწყობს მის

განვითარებას. მშობელთა ჩართულობა მხოლოდ მშობელთა კრება არ არის. იგი გაცილებით უფრო მეტია სასწავლო-აღმზრდებლობითი პროცესის უფრო შედეგიანად წარმართვაში. ამით მშობელთა კავშირი სკოლასთან უფრო განმტკიცდება. საზოგადოება უფრო შემობრუნდება სკოლისკენ და განათლების რეფორმის გატარებაში დაეხმარება.

მშობელთა ჩართულობა კიდევ ორ მნიშვნელოვან მიზანს ისახავს:

ალმზრდებლობის: — ბავშვებმა თავიანთი ავტორიტეტი ადამიანებისგან მიიღონ რჩევები, მისაბაძი მაგალითები ალმზრდებლობითი და შემეცნებითი კუთხით.

მშობლებმა თვალნათლივ ნახონ როგორც საკუთარი, ასევე ზოგადად, მათი შვილის კლასის შინა მდგომარეობა, რადგან ცოტა რთულია მშობლისთვის, გაიზაროს და წარმოიდგინოს ის ყველაფერი, რაზეც მასწავლებელი ესაუბრება, მაგრამ როდესაც თავად აკვირდება და თვალნათლივ ხედავს, რა როგორ ხდება, მაშინ უკეთესად იაზრებს და აცნობიერებს, რა არის პრობლემა და რაზე უნდა იმუშაოს.

პროექტის პირველ წელს პროექტის ფარგლებში, კვირაში ერთი დღე, გაკვეთილების შემდეგ ჩვენს კლასში სტუმრად მოდიოდა ერთი მშობელი საკუთარი თემით, ბავშვებთან (საკუთარი შვილის კლასი) ერთად ატარებდა 40 წუთს, ამ ხნის განმავლობაში ის ნამდვილად იყო მეტი, ვიდრე მშობელი... ამ ხნის განმავლობაში მშობლებმა წარმოადგინეს ისეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო თემები, როგორცაა:

„რა უნდა გავაკეთოთ, რომ კარგად ვისწავლოთ?“; „ადამიანის კარგი და ცუდი თვისებები“; „გარემოს დაცვა პოლიეთილენის პარკებისა და პლასტმასის ბოთლებისგან, ასევე სხვა სახის ნარჩენებით დაბინძურებისგან“; „უნარები, თვისებები, ემოციების კონტროლი და გამოხატვა, წესების შესრულების უნარი და შესაბამისად მოქცევა, სიკეთისა და ბოროტების გარჩევა და საკუთარი თავის შეფასება“; „ბუნების დაცვა“; „ემოციები“; „პროფესია“; „რატომ გვჭირდება განათლება?“; „ვინ არის ჩემი მისაბაძი ადამიანი და რატომ?“; სამი ჯადოსნური სიტყვა — „მადლობა“, „თუ შეიძლება“, „ბოდიში“; „დაფიქრება საკუთარ ქცევებზე“.

მშობლები თავისუფალნი იყვნენ თემის შერჩევაში, ასევე თავად უნდა დაეგეგმათ, თუ როგორ წარადგინდნენ არჩეულ თემას ბავშვების წინაშე. ერთადერთი მოთხოვნა იყო, თემა წარედგინათ გასაგებად, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ამ მოთხოვნის შესრულებაში კი დახმარებას მე თავად ვუწვედი. ყოველი შეხვედრა სახალისოდ, ნაყოფიერად და ინტერაქტიულ რეჟიმში მიმ-

დინარეობდა.

ჩვენი პროექტი, რომელიც სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას ემსახურება, წარმატებით დასრულდა. მიზანს მივაღწიეთ. პროექტში კლასის 26 მოსწავლიდან 21 მშობელმა მიიღო მონაწილეობა. ეს კი კარგი შედეგია.

გადავწყვიტე, მშობლების თანხმობით ეს პროექტი წელსაც გავაგრძელო — უფრო საინტერესო ფორმით. ჩვენ უკვე მეორე კლასში ვართ, კითხვა, აზროვნება, ასაკობრივი ლიტერატურის გაცნობა, წიგნებთან აქტიური მეგობრობა, წელსაც ჩვენთვის პრიორიტეტულია. პროექტის ფარგლებში გავეცნოთ რამდენიმე საინტერესო ავტორის წიგნს. კვირაში ერთხელ, კლასში მოდის ერთი მშობელი, ვშლით ფარდაგებს, მოვკალათებით თავისუფლად და ვუსმენთ მონვეული მშობლის მიერ წაკითხულს. პირველ ჯერზე შევარჩიე ასტრიდ ლინდგრენის მხიარული, საინტერესო ნაშრომი, „ლოტა აურზაურის ქუჩიდან“. იგი ზუსტად მეორე კლასელის შესაფერისი საკითხავია. პროექტის შედეგი მინდა იყოს ასეთი: ჩემმა მოსწავლეებმა, წიგნისგან მეტი შეიმეცნონ და სიამოვნება იგრძნონ. პროექტისთვის შერჩეული წიგნებიდან ნამდვილად მიიღებენ სიამოვნებას, შეიყვარებენ პერსონაჟებს და არასდროს დაავიწყდებათ ისინი. ასე მინდა მათში აღვზარდო წიგნის კითხვის ჩვევა და კულტურა.

პროექტი „მეტი ვიდრე მშობელი“ წინგადადგმულ ნაბიჯად მესახება და მიხარია, რომ ჩემი კლასი ამ სიახლის ინიციატორია.

ინა მეცხვარიშვილი,
დაწყებითი კლასის მასწავლებელი

ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში ძნელია განიხილო ის ჩატარებული სამუშაოები და დანერგილი სიახლეები, რაც 106-ე საჯარო სკოლაში განხორციელდა. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს.

მზია ბოზოქიძე

P.S. რედაქტორის მინაწერი: დღევანდელი ვითარების დონეზე მისასაღმებელი და მისაბაძია 106-ე სკოლელთა ახალი პროექტების განხორციელებისკენ მიმართული ძალისხმევა. თუ მოსწავლე ახალგაზრდობის აქტივობა და ჩართულობა სასწავლო-ალმზრდებლობითი ღონისძიებებში მკვეთრად გაიზარდა, თუ ყველა მოსწავლე საქმით დაკავდება, მათ „ავი ზრახვებისთვის“ საფიქრალი დრო აღარ დარჩებათ და ავირიდებთ ბოლო დროს დატრიალებული ტრაგედიების მსგავს შემთხვევებს. მოგიწოდებთ სკოლის დირექტორებო, პედაგოგებო, მშობლებო, უფრო გააძლიერეთ, გაააქტიურეთ ალმზრდებლობითი მუშაობა!

პართლას სახლია ყანავიდაბისთვის!

ასეთი ზნეცა გეჭირს: კვალს ჩადრუნულელები ვბჭობთ, დის-კუსიებს ვმართავთ, ვკამათობთ, ესაოდა, რისი კვალიაო. ლიტონსიტყვაობაში ვეპაქერებით ურთიერთს და თავის აღი-

პედაგოგი ურთულესი ამოცანის წინაშე დგება: თან ყველაფერი იღონოს, რომ იგი მაჩანჩალობის სენით არ დაავადდეს, საკუთარი თავის რწმენა არ დაკარგოს, თან კი

რომ მოსწავლეებს ინტერესი ყოველდღიურად გა-ულვივონ, თითოეული მეცადინეობით დაარწმუნონ არჩევანის სისწორეში და სამომავლო სავალისთვის საფუძვლიანად შეამზადონ. ასეთ სახლებში ხომ ახალგაზრდებს ნიჭის გამოვლენის, თვითდამკვიდრების იშვიათი შანსი ეძლევათ და ისინი სახლის პედაგოგთა ძალისხმევა სწორედ ამ ნიჭის, უნარის, მიდრეკილებების სრულად გამოვლენა-განვითარებისკენ, ყმანვილებში თვითრწმენის გამტკიცებისკენაა მიმართული. თანაც, ყოველივე ეს აუცილებლად თავდაბლობაზე, ზნეობრიობაზე, პატიოსნებაზეა დაფუძნებული.

სახლის პრიორიტეტებია: **დამატებითი განათლება და არჩევანის ხელშეწყობა.** ხელშეწყობაზე უკვე ითქვა, დანყებითი განათლება კი ცოდნის იმგვარად გაღრმავებას გულისხმობს, რომ მოსწავლეს რეპეტიტორები აღარ დაჭირ-



სომეხი, აზერბაიჯანელი, ქურთი ბავშვები. პედაგოგები მათ ეროვნებათა პატივისცემით, ურთიერთგაგებით ზრდიან. სხვა კულტურათა სიყვარულს უწერგავენ. ამას ადრე ინტერნაციონალური აღზრდა ერქვა. არსი იგივეა და მოსწავლეებიც ემზადებიან სამოქალაქო, მრავალნაციონალურ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის.

საკლუბო მუშაობა. ერთადერთი მაგალითი: ქართული ენისა და ლიტერატურის წრის კლუბი „ალტერ ეგო“, სხვა ძალზე მნიშვნელოვან მუშაობასთან

ასებენ კიდევ მათ ღვანლს. უკეთესი პატრიოტული აღზრდა ძნელად წარმოსადგენია.

ქველმოქმედება. მცხეთის რაიონის სოფელ ერედში დაეხმარნენ გაჭირვებულ ოჯახს. საგარეჯოს რაიონის მუსიკის ცენტრს დაუკავშირდნენ იქ საქველმოქმედო კონცერტის გასამართავად. მალე გაემზადებინათ. მხოლოდ ერთს დავამატებ: თვით სოციალურად დაუცველი ყმანვილებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი გაჭირვებულთა დახმარებაში. ასე ყალიბდება, იხვენება ზნეობა.



არება აზრადაც არ მოგედის. არადა, აგერაა მისი დამტოვებული – მიბაჯბაჯებს დათვი.

უძვირფასესი დრო კი იფლანგება. თანხებიც იფლანგება. და მიზანი – მცოდნე, ზნეობრივი თაობების აღზრდა ჰორიზონტით მიუწვდომელი რჩება.

თუნდაც უკვე ყბადაღებულ დიფერენცირებულ სწავლებაზე ვთქვათ. ხომ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია; ჩვენშიც ხომ ერთი პირობა ლამის შემოიღეს, ანუ წინაპირობები შემზადებული იყო? მერედა, სადაა?!

და მაინც არის. მთლად ისეთი ვერაა, აილო და ეგრევე სკოლებში გადაიტანო, მაგრამ არის – მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში.

დავაკონკრეტოთ: სკოლებში მოსწავლე, აინტერესებს – არ აინტერესებს, ვალდებულია ყველა საგანი ისწავლოს.

ნელ-ნელა, ტაქტიანად, ნაბიჯ-ნაბიჯ წარმართოს იქითკენ, რაც, დირექციის, კოლექტივის დასკვნით, სწორედ მისი ნიჭისა და უნარის შესატყვისია.

ამას ყოველი მოსწავლის, ინდივიდუალობის შესწავლა სჭირდება. და, თუ 600 აღსაზრდელი გყავს?!

ამას შვილების ფუნდერკინდობაში პიტალოდ დარწმუნებული მშობლებიც დაურთეთ, ერთდროულად რამდენიმე წრესა თუ სექციაში რომ სურთ შვილების გატანჯვა და დარწმუნდებით, რომ სახლების მუშაებს ძალზე რთული, პასუხსაგები, ქვეყნისთვის აგრერიგად საჭირო სამუშაო აქვთ.

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისინი რაიონის ფილიალში ამას დიდებულად ახერხებენ, რისი ერთი დასტურიც მისი დირექტორის, ამ საქმისთვის მონოდებული ქაბატონის **ჯულიეტა დანელიას**



დეთ. ამას არაფორმალური განათლებაც ერთვის, რაც ყმანვილს დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს უყალიბებს. შედეგი? შარშანდელი 11 XII-კლასელიდან, სხვადასხვა ხარისხის დაფინანსებით, ყველა ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში.

თავისუფალი დროის კონსტრუქციულად განკარგვა. ბავშვები სწორედ სკოლებისგან თავისუფალ დროს დაიარებიან სახლში. სწორედ ეს აჩვენებს თავისუფალი დროის სწორად დაგეგმვას. ხელოვნება, მუსიკა, ლიტერატურა სულს უფაქიზებს ყმანვილებს, დაინტერესების, პედაგოგთაგან ნახალისების, ამკარა წინსვლის გამო, აღარ ემტებათ დრო საფლანგავად და რამდენი ასცდა ქუჩის მავნე გავლენას. სტატისტიკით, ასე დაკავებულ მოზარდთა დანაშაული ერთობ მცირეა.

სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირება. სახლში ერთად სწავლობენ ქართველი, რუსი,

ერთად, ყოველთვიურად გამოსცემს კედლის გაზეთს, სადაც იმ თვეში დაბადებული გამოჩენილი ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობაა აღწერილი.

ქალბატონი **ჯულიეტა დანელიას**, მთელი პედაგოგული ძალისხმევა იქითაა მიმართული, რომ სახლი მოსწავლეთათვის მართლაც სახლი, ის გარემო იყოს, სადაც ისინი დაცულად და შინ იგრძნობენ თავს. ეს აღმზრდელთა წარმატების ქვაკუთხედი.

ამ სულისკვეთებით იღწვიან სახლის ხუთივე მიმართულების: **საგნობრივის, ხელოვნების, ხელოსნობის, სპორტულისა და საკლუბო** პედაგოგები:

კობა ძონენიძე – ქორეოგრაფიის წრე და ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი „გრემი“; **ნათია კოკოვეა**, **ნათია დაბახიშვილი**, **მარი თეთრაული**



დასწრებაც სავალდებულოა. ასეთ სახლებში კი ყმანვილი ნებით მიდის და სურვილის, მიდრეკილების, ნიჭის შესატყვისად ირჩევს საგანს, წრეს, სექციას. მეტიც – სახლების „რეპერტუარი“ თითქმის მთლიანად სწორედ ამ ინტერესების შესატყვისად ყალიბდება.

ოლონდ, ნურავის ეგონება, რა ადვილია ასეთ სახლებში მუშაობა, მიჰყე მოზარდთა სურვილებს და ეგააო. არ არის ასე. ძალზე დიდი ალღო, პედაგოგიური ოსტატობა და ტაქტია საჭირო, რათა ჯერ დაინახო, რამდენად სწორია „ახალწვეულის“ არჩევანი და, თუ ცდება, ამაში დაარწმუნო, სწორად დააკვალიანო. ასეთი ხერხიცაა: დაე, თავად დარწმუნდეს შეცდომაში. როგორ? ჯერ იაროს არჩეულ წრესა თუ სექციაში.

კაბინეტში გამოკრული მრავალი სიგელი, დიპლომი, სერთიფიკატი თუ სამადლობელი წერილია.

სახლის პედაგოგები იმასაც მშვენივრად ახერხებენ,



რამდენი ღირსშესანიშნავი თარიღი, რამდენი მამულიშვილის დაბადება-გარდაცვალების თარიღს ჩაუვლია ისე, რომ არავის გახსენებია. აქ კი ახსოვთ და შეძლებისდაკვალობაზე აფ-

(სერთიფიცირებული) – ინგლისური ენის; **ჟუკა ტულუში** – საესტრადო-ვოკალური ანსამბლი „დო, რე, მი“; **მერაბ ტურაშვილი** (V დანი) – კარატეს; **რობერტ ნერსესოვი** – სახვითი ხელოვნებისა და ხელოვნების ისტორიის; **ანა კაპანაძე** – მათემატიკის; **ბელა მორგოშია** (სერთიფიცირებული) – ფიზიკის; **ირინა შიუკაშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის, თეატრალური წრე და ბავშვთა თეატრი „თაობა“; **ნუნუ ბალაგაძე** (სერთიფიცირებული, დოქტორანტი) – ქართული ენისა და ლიტერატურის და კლუბი „ალტერ ეგო“; **ბელა გაბათაშვილი** (სერთიფიცირებული) – ქიმია-ბიოლოგიის; **ნინო ოთიაშვილი** (სპორტის ოსტატობის კანდიდატი) – ჭადრაკის; **პავლე ჭუმ-**



შინდისის სკოლა – ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მემორიალი

გვარამია, ზაქარაიას სახელის მემორიალი



ეს ისტორიული, მდიდარი ტრადიციების სკოლა, რომელიც დღეს შინდისს ამშვენებს, ბევრი სახელოვანი მამულიშვილის აღმზრდელია. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ა. წ. 12 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი ჟურნალისტის **მედეა მოსულიშვილის** დასაბუთებული თხოვნა-სურვილი მთავრობისადმი: შინდისის 212-ე საჯარო სკოლას მიანიჭონ **ნიკოლოზ ბარათაშვილის** სახელი და გაიხსნას ამ დიდი პოეტის სახლ-მუზეუმი, თხოვნას გამოჩენილი ქართველი მწერლებიც მხარს უჭერენ. პირველ რიგში მაინც უნდა დავასახელოთ სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, სოფლის მოსახლეობა. გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქციაც მანდ არის. გულმხურვალედ მივესალმებით ამ ფაქტს.

ამ სკოლის ინფრასტრუქტურა მონერგებულია. აქ ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ. 9 უფროსი და 20 პრაქტიკოსი მასწავლებელი შემართებით ზრუნავს სწავლების მაღალ ხარისხზე. მათემატიკის ენაზე თუ ვიტყვი, საგნობრივი კათედრის კარგი მუშაობა პირდაპირ პროპორციულია წარმატებებისა.

ასეც არის: შვიდ კათედრას გამოცდილი პედაგოგები უძღვებიან: დანყებითი განათლებისას – **მზევინარ პაპიაშვილი-გერლიანი**, ქართულისას – **ეკა ხაჩიძე**, მათემატიკისას – **მაყვალა მღებრიშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისას – **გვანცა მოლაშხია**, უცხოური ენებისას – **ანა მეგუთნიშვილი**, ისტორიისას – **ირმა დორეული**, სპორტ-ესტეტიკისას – **სოფიო ჯანგულაშვილი**.

სკოლის დირექტორი იუბილარია. ათი წელია მას უძღვება გამოცდილი, შემოქმედი პედაგოგი **მედიკო მირზაშვილი**, რომელსაც მხარში უდგას ასევე გამობრძმედილი მოადგილე **ხა-**



თუნა ჯავახიშვილი.

ერთი სიტყვით, სკოლა აქტიურად ეხმარება განათლების ახალი მინისტრის **მიხეილ ჩხენკელის** ახალ ინიციატივებს და ზრუნავს მისი რეალიზებისათვის. მათ შორის ხომ ერთ-ერთი პრიორიტეტულია აღმზრდელითი მუშაობის გაძლიერება. ამ მიზნით ხორციელდება ბევრი საინტერესო პროექტი. ჩატარდა საინტერესო ღონისძიებები: **„ბარაქიანი შემოდგომის გაცილება“**, **„დედის დღე“**, ლიტერატურული საღამო **„ტატოზა“**, საახალწლო კარნავალები და სხვა.

მრავალფეროვანია მოსწავლეთა აქტივობები და ჩართულობა სასწავლო-შემოქმედებით ტურებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში, რაც უთუოდ ამალღებს სწავლების ხარისხს, ამრავლებს წარმატებებს. სკოლა ასახელოქროს მედალოსანმა **მარიამ ზარქუამ**, რომელიც 100%-იანი გრანტით სტუდენტი გახდა. ვერცხლის მედალი მოიპოვა **ანა ტაბატაძემ**. კონკურსში **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** გაიმარჯვეს IX კლასელებმა: **გია და ლუკა მეზურნიშვილებმა**, **ბიჭიკო ტოტოლაშვილმა**, **ირმა და მარიამ ჯავახიშვილებმა**. პროექტში **„მომავლის თაობა“** დიდ

წარმატებებს მიაღწიეს **ნათია იაშალაშვილის** აღსაზრდელმა. მათ მოპოვებული გრანტით მოაწყვეს სამოქალაქო განათლების კაბინეტი. ქართულის შემოქმედმა პედაგოგმა **ეკატერინე ხაჩიძემ** ჩაატარა ბრწყინვალე ღონისძიება **„ვეფხისტყაოსანი სკოლაში“**. ეს იყო ნახატების, ეს-

თი **„ქართველი კლასიკოსები“**. **მაია გარსევანიშვილმა** VIII-VIII კლასებს შორის მოაწყო სპორტული შეჯიბრი **„მხიარული სტარტები“**. დიდი მონონება ხვდა წილად **ქეთევან ნენგუაშვილის** ღონისძიებას **„ქართული ხალხური საკრავები“**, **სოფიო ჯანგულაშვილის** ნახატების



ეების კონკურსი. ფინალში პოეზიის საღამოზე დაჯილდოვდნენ კონკურსანტები.

ისტორიის კათედრა **ირმა დორეულის** თაოსნობით სისტემატურად ატარებს ინტელექტუალურ კონკურსს **„რა? სად? როდის?“** **მაყვალა მღებრიშვილის** მოსწავლეებმა ხალისიანად ჩაატარეს **„მათემატიკური ვიქტორინა“**. **მზევინარ პაპიაშვილ-გერლიანმა** მოაწყო ცეროდენების ზეიმი **„ბარაქიანი შემოდგომა“**, **ირმა ჯავახიშვილმა** – **„წელიწადის 12 თვე“**, **ნანა ასტამაძემ** – **„ჩემი ხელით შექმნილი წიგნი“**. **ეკა ჭანტურიძემ** ჩაატარა ინოვაციური ღია გაკვეთილი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. **ნინო ჯიჯიაშვილმა** გამოუშვა კედლის გაზე-

თი **„ქართველი კლასიკოსები“**. **მაია გარსევანიშვილმა** VIII-VIII კლასებს შორის მოაწყო სპორტული შეჯიბრი **„მხიარული სტარტები“**. დიდი მონონება ხვდა წილად **ქეთევან ნენგუაშვილის** ღონისძიებას **„ქართული ხალხური საკრავები“**, **სოფიო ჯანგულაშვილის** ნახატების

ამოფენას **„შემოდგომის პალიტრა“** და **„სანტას საჩუქარი“**. უცხოური ენის პედაგოგმა **ირმა ბეჟანიშვილმა** დადგა ზღაპარი **„წითელქუდა“**, ხოლო **ნინო ნათენაძემ** – **„შელის ნუკრის ნაამბობი“**.

აი, როგორი გატაცებით მოღვაწეობენ ამ პატარა სკოლის პროფესიონალი პედაგოგები. ამ ახალ წელს ახალ წარმატებებს გისურვებთ, შინდისელებო. მალე დამდგარიყოს ის სასიხარულო ჟამი, რომელსაც **სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭება** და დიდი პოეტის სახლ-მუზეუმის გახსნა ჰქვია!

ბორის ხარეზაშვილი

დასანყისი მე-3 გვერდიდან პართიას სახლი ყაზახიანისთვის!



ბურიძე – ხალხური საკრავების სრე და ანსამბლი **„ერთსულოვნება“**; **სოფიო ხახვიანაშვილი** – გიტარის; **ბესო კობახიანი** – კომპიუტერების შეკეთების; **ნატალია ფიქრიშვილი** – ტან-

ვარჯიშისა და პლასტიკის; **მაია ენუქიძე** – საესტრადო-ვოკალური ანსამბლი **„შოკოლადის წვიმა“**.

სახლის აღსაზრდელთაგან – **28 საქართველოს მხატვართა**

კავშირის წევრია; საზღვარგარეთ – 3 საესტრადო-ვოკალური წრისა და სახვითი ხელოვნების წრის 2 კურსდამთავრებული სწავლობს. საზღვარგარეთვე მუშაობს ამ წრის 4 ყოფილი მოსწავლე. მერწმუნეთ, ეს ცოტა არ არის.

ხორციელდება ორი სახელმწიფო პროგრამა: სოციალურად დაუცველთა. – ასეთი ფილიალში 215-ია და მათ მერია აფინანსებს და – წარჩინებულთა. 19-ვე წარჩინებულსაც მერია აფინანსებს და პედაგოგებს ახალისებს.

ქალბატონი ჯულიეტა: ფილიალი ემადლიერება, მერიას კეთილმონყობილი ფართისთვის. თუმცა, მაინც სივიწროვება ემადლიერებთან მაჟორიტარ

დებუტატს **ირაკლი აბუსერიძეს**. მისი მონდომებით აღჭურვა მე-



რიამ საბავშვო თეატრის დარბაზი ტექნიკურად. ასევე, ცდილობს ფილიალის გაფართოებას. ემადლიერებთან თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახ-

სმიერი თხოვნა, გონივრული წინადადება მყისვე ხორციელდება, ინერგება ქალბატონი **მანანა** ძალისხმევით.

აი, მოკლედ ასე ცხოვრობს, დიან, ცხოვრობს სახლი, რომელსაც მოსწავლე-ახალგაზრდობისა ჰქვია და, არსებითად, სწორედ ასეთია.

კონსტანტინე გურგენიძე

P. S. ამ შენობაში სახლი 2007 წელს გადავიდა და 64 მოსწავლე ჰყავდა. ახლა უკვე 600 ყმაწვილის სახლია და, თუ სათანადო ფართი ექნა, გაცილებით მეტი მოზარდის სახლი იქნება.



ნიჭის ელვარება სახეზეა



ნინო ჩიბურდანიძე

მოზარდს ნიჭიერების გამოვლენა-აღზრდაში ხელს შეაშველებ, დააკვალიანებ, ნახალისებ, დიდი ჰუმანური საქმეა. ჩვენს გაზეთში ეს ტრადიცია კარგახნის დამკვიდრებულია. ადგილს ვუთმობთ ხელოვნებაში პერსპექტიულ მოსწავლეთა შემოქმედებას, პედაგოგთა პოეტურ სტრიქონებს. მოსწავლე კონკურსში გაიმარჯვებს, ან რედაქციაში ლექსებს მოგიტანს, ეს ნიშნავს, რომ მას ლიტერატურის ბრწყინვალე მასწავლებელი ჰყოლია. ამ სტრიქონების ავტორმა, რომელიც მაშინ თბილისის 139-ე სკოლაში პედაგოგად მუშაობდა, ერთ მოსწავლეს მწერლობის ნიჭი

შეამჩნია, შეაქო, ნახალისა. მოზარდი მალე სხვა სკოლაში გადავიდა, იქაც დიდებული პედაგოგის, მერი ცხოიძის ხელში აღმოჩნდა. ის მოსწავლე კი დღეს საყოველთაოდ ცნობილი მწერალი დათო ტურაშვილი გახლავთ. მორიდებით შემოალო რედაქციის კარი 87-ე საჯარო სკოლის მეცხრეკლასელმა და ლექსები მოგიტანა. ნინო ჩიბურდანიძე ნარჩინებული მოსწავლეა, გულისხმიერი, მზარული, მეგობრული, რომანტიული. ექვსი წლის ასაკში დაუწერია პირველი ლექსი. შემდეგ კი... 2016 მონაწილეობდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საქალაქო

დათვალეირება-კონკურსში „ვიტის-ულობთ ვეფხისტყაოსანს“. გაიმარჯვა, ლაურეატის წოდება მიენიჭა. გარდა ამისა ნინო მრავალმხრივი შემოქმედია – მშვენივრად ხატავს, მღერის, ფორტეპიანოზე უკრავს, როგორც შემოქმედი, დღითიდღე იზრდება. დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ მის ქართულის მასწავლებელს, მაია თვალაშვილს, მოსწავლეთა სახლის პედაგოგებს: რუსუდან ყიფიანსა და მაკა წირღვაფას, რომლებმაც ნინოს ნიჭის გაფურჩქვნას ხელი შეუწყეს. გთავაზობთ ნორჩი შემოქმედის ლექსებს.

სიცოცხლე კმარა!

სიცოცხლე კმარა!
რა მიგაქვთ თან, რა?
რა დაუტოვეთ მომავალს საგზლად?
ამბობენ, სანამ მოკვდები მანამ
მთელი ცხოვრება გაგივლის სწრაფად.
რას დაინახავთ, ქართველნო აქ-რას?
სიცარიელეს შეამჩნევთ ალბათ.
არ გიცხოვრიათ ქვეყნისთვის არა?
სიცოცხლის ბოლო წუთებიც კმარა!
რას დაინახავთ სულ ბოლოს, ზღაპარს?
რომ თქვენ გიყვარდათ სამშობლო მართლა,
იბრძოდით მისთვის, მისთვის ხართ ახლა...
არ ვითხოვ ბრძოლას, ყველასგან არა...
ზოგმა იმღეროს, დანეროს კარგად!
ზოგი როლებში შეიჭრას მძაფრად!
მინდა რომ ყველამ ჩვენით ვადიდოთ
ჩვენი სამშობლო მარად და მარად!

დავამსხვრევ მკვირცხლად!
მინდა კვლავ ვნახო...
ის ცა და მიწა
და შევისუნთქო
ჰაერი მთისა.
კვლავ ვეთამაშო,
ზღვის პირა ნიავს
და გადავხედო
მინდორ-ველს კლდიდან.
მოვდივარ შენსკენ!
მიბერავს ქარი!
ვებრძვი და მებრძვის
მტრის მტკიცე ხმალი!
ასე ადვილად არ დავთმოხ შენს თავს!
აფხაზეთისთვის მომკვდარა ხალხი...
მეფე გიორგი და მეფე ბაგრატ
მეფე ერეკლე, თამარ და დავით...
თქვენ შთამაგონეთ ქვეყნისთვის ბრძოლა
და შემახსენეთ კვლავ ჩემი ვალი!
მოვდივარ შენსკენ!
მიბერავს ქარი!
ვერ შემაჩერებს,
ჩვენს შორის ბზარი!

წიგნაკანტი

კვლავ მივალ და ვნახავ იმ მთებს...
იმ ზღვის პირა ლამაზ ჩიტებს...
გადავხედავ კლდიდან დიდ ველს
მოგონებებს რომ ვერ იტევს.
კიდევ ვნახავ კლდეში ციხეს,
ლეგენდარულ ისტორიებს...
დასავლეთს და აღმოსავლეთს
შემოვუვლი ყველა მხარეს.
ვადიდებ და ვადღეგრძელებ,
საქართველოს მთვარეს და მზეს!
ყოველ დღით კვლავ მოვუსმენ
ჩემი ქვეყნის ლამაზ ჰანგებს.
მიყვარს ის ცა, თვალს შევავლებ
მონატრებულ სილაყვარდეს.
მე იმედი მაძლიერებს,
მონატრება მომკლავს ხვალვე...
დამელოდე საქართველო!
მე მოვდივარ, გნახავ მალე.

მოგონების ლუჩაი სუკათი

მოგონებამ ამოხეთქა
ჩემს გულში...
მახსოვს წვიმდა,
შევყურებდი ლურჯ სურათს...
ქარი ჰქროდა,
ზღვა ლელავდა, ჩემს სულში
თითქოს, რაღაც მომხდარიყო უჩუმრად.
ახლა ვხვდები თუ რა იყო ეს რაღაც!
დედის დარდი...
შვილის დარდი...
ტკივილი...
დედა-შვილი დააშორეს ერთმანეთს.
აფხაზეთო, შენ ხარ ჩვენი ტკივილი!

და მე ცრემლებად დაღვრილი ვუცქერ,
ამ ჩემი ქვეყნის გატანჯულ ზღუდეს.
ჩემი სამშობლოს მინდორ-ველს ვუმღერ,
ამ ხე ყვავილის სუნთქვას და სურნელს.
იმ ლეგენდარულ სუფრის ღვინს ვუსმენ,
ახლაც ქართველნი ჭიქას რომ ვუნწვენ.
ჩვენი მომავლის ფლეიტას ვუსტვენ,
და რა მახარებს?! იმედი სუფევს!
რომ გაბრწყინდება ცაზე ვარსკვლავი
და გაანათებს ზეცას და ღრუბლებს ...
ნათება სხივის მე გამაღვიძებს
და მეტყვის: დროზე!
გადავდგით ღობე!
აყვავდა ვაზი, დაასხით ღვინო!
მინდა ვილხინო! მინდა ვიყვირო!
გაბრწყინდა ქართლი...
გაბრწყინდა ქართლი...
ფრთები გავშალო, დიდხანს ვიფრინო.
მე მას ცრემლებად დაღვრილი ვუცქერ
ვამაყოფ, ვტირი, თან ლექსებს ვუნწერ.

ღაგიო მუჟუ

ჩვენი ქვეყნის ისტორია –
ნათელი დღე, ბნელი ღამე.
მრავალ ჭირში გაუვლია
ამ მშვენიერ მიწებს და წყლებს,
ამ ცასა და ამ ვარსკვლავებს,
მზის სხივებს და მთვარის ლანდებს...
უტირიათ, უცინიათ,
ტკენიათ და ულხენიათ...
შეუპოვრად უბრძოლიათ!
ქვეყნის ვალი მოუხდიათ...
დავით მეფე კურაპალატს
ეს ქვეყანა აუგია.
ქვეყნის ბზარი სისხლის ძაფით
ორი ერთი გაუხდია.
ქვეყნის დარდით უცხოვრია,
მისთვის ბევრი გაუღია.
ალბათ, იქაც სიმამაცით
ხმალი ზევით აუპყრია
და ქართველი ხალხი მტრისგან,
შეუპოვრად დაუხსნია...
დავით მეფეს კურაპალატს
ქვეყნის ვალი მოუხდია!
სისხლის ძაფით ეს ქვეყანა
ერთიანი გაუხდია.

აფხაზეთისთვის

შენ, ჩემო მთებო,
ზღვის პირა მიწავ,
შენ, წმინდა ზღვაო,
ირეკლავ იმ ცას.
ვიბრძოლებ შენთვის,
გონებას ვიხმარ,
ჩვენ შორის კედელს

მამულს მოვლა – უპირველეს ყოვლისა!

საშობლო გულის პერდი და ხეშია

მას მკითხველთან წარდგენა არ სჭირდება – ისედაც კარგად ცნობილია. წინა საუკუნიდან მოდის ხელდამშვენებული გულ-მხურვალე, პოპულარული პოეზიით. **ნაირა ნიჭარაძე** თანაბრად ძლიერია საბავშვო და სადიდო მწერლობაში. ასი წლის წინათ **ნიკო ლორთქიფანიძე** გმინავდა: „იყიდება საქართველო!“ დღესაც გვესმის: იკვეთება ასეთი უბედურების კონტურები და წაღვეთი გვემუქრება. ჭემ-მარტო მწერალს „გულმა როგორ გაუძლოს, ამ სატყვიარზე არა იკვნესოს?“ და აი, ნაირას ცინცხალი ლექსები:

ავაშენებთ ფერმებს,
გავამრავლებთ ოთხფეხს.
გვეყოლება შვილი,
ვარსკვლავივით ბევრი,
გავახაროთ მთები,
ავამალლოთ ჭერი!
ჯიში მოგვდევს გმირის,
ვერ დაგვჯაბნის ვერვინ,
ვინც გვხვევს მავთულხლართში,
ვინაც ტანკით გვებრძვის.
მშვენიერი მინის,
გოჯიც კი არ დავთმობთ,
ხან ვმღერით, ხან ვტირით,
ხან გვანვიმს, ხან გვათოვს.



ნაირა ნიჭარაძე

მძიმე ფიქრს ვუნდებით.
გაშლილ მიდამოში,
ამ მშვენიერ დროში,
ჩვენ ვიქნებით მუდამ
ამ დიდ სამყაროში!

ბიჭი

რა კარგი ბიჭი მოსულა,
კარგი ვაჟკაცი ჩანს:
– მომეცით მინის ნაკვეთი,
გავყვები მამის კვალს.
ამბობს:
მამულის პატრონი,
არსად არ ნავალ შორს,
ვიშრომებ, ცხვარსაც გავიჩენ,
შევიტებო ტოლს და სწორს.
წერილშვილსაც მალე შევიძენ,
არ დავშორდები მზეს,
მოვიყვან ერთგულ მეგობარს,
მოვიყვან ქალთა მზეს.
ავაგსებ ბელეს, სანახელს,
ყურძნით და დოვლათით,
გავზრდი ქათამს და ძაღლებსაც,
მე ერთგულების ხათრით.
დავიცავ, კბილით დავიცავ,
ქართული მინის გოჯს.
ალალი შრომით მოწეულს,
სხვა არაფერი სჯობს!

უნივერსიტეტი სვანეთის უბანში

უნივერსიტეტის გაილო კარები,
ახალგაზრდები მოდიან, ალგები.
ვარსკვლავებივით ბრწყინავენ
ლიმილით,
ასეა ცისმარე, მუდამდღე, დილ-
დილით.
თითქოსდა მდინარე მოსკდაო
უბანში,
არ დარჩა ადგილი ამ ფართო
ქუჩაში.
ვაჟები – ვეფხვები, ქალები –
პეპლები,
როგორც ტოტგაშლილი, მაღალი
ვერხვები.
ესენი შესძრავენ მთებსა და
სამთავროს,
ახალი ხმებია, ახალი სამყარო.
მტრები გვეყავს, გვართმევენ
მინას და მთა-ველებს,
ამაყნი ბევრნი ვართ, ნურავინ
გვანერებს.
დიდ მზესაც ვუყვარვართ, მთვა-
რეც გვეყავს ნათელი,
კოსმოსში დარჩება, მარადის
ქართველი.

არ ღავთომო!

მშობლიური მინის
გოჯიც კი არ დავთმობთ.
ხან ვმღერით, ხან ვტირით,
ხან გვანვიმს და გვათოვს.
ავაშენებთ სოფელს,
თან მოვიყვანთ სწორფერს,

ქართველები

გაშლილ მიდამოში,
ამ მშვენიერ დროში,
ფიქრი აგტეხიათ
გული გაგტეხიათ.
არ ჩავექრებით არსად,
არ ვიმღერებთ ფარსად,
მტერი მუდამ გვეყავდა,
მაგრამ მაინც აქ ვართ.
გვაქვს მშობელი მინა,
პური, ქერი, ღვინო,
შეგვიძლია ყველგან,

ერთად ვილინოთ.
თუ გავრბივართ სხვაგან,
გაშლილ მიდამოში,
ამ დიდებულ დროში,
ამ დიდ სამყაროში.
ლამაზი და მტკიცე,
ცოდნას ყველგან ვიძენთ.
შუქულევი მზე გვაქვს,
იმედებით გვიმზერს...
თუ მივდივართ სადმე,
ისევ შინ ვბრუნდებით,
სამშობლოზე ნატვრით

← დასაწყისი მე-5 გვერდიდან

ნიჭის ელვარება სახეზეა



ღმერთო, განა იცის ვინმემ?

ეს პატარა საქართველო,
რამხელაა ჩემთვის...
ეს პატარა საქართველო,
მსოფლიოა ჩემი...
მინა მოგონებით სავსე,
ცა კი ღრუბელთ განანმენდი.
მინა- წყალი სანუკვარი,
მთები, დათოვლილი მთები,
ისტორია საოცარი,
დღენი, საამაყო დღენი...
ღმერთო, განა იცის ვინმემ,
რამდენს ნიშნავს იგი ჩემთვის?!
ამ პატარა საქართველოს,
ისტორია ძველი!
ამ პატარა საქართველოს,
საამაყო დღენი!
მინა დედის ცრემლით სველი,
ცა კი სისხლით შენაღები.
ღმერთო განა იცის ვინმემ?!
შენ, ლამაზო საქართველო,
მსოფლიო ხარ ჩემი!

ქალები ქრიან

ქარები ქრიან
არხევენ ტოტებს,
ტოტები ფოთლებს,
მშვენიერ ყლორტებს.
ქარები ქრიან,
ლეღავს შავი ზღვა,
მღელვარე ზღვაში იწვის ტოტები.
ქარები ქრიან,
მიდიან, მიაქვთ
მოგონებები მწარე დროების.
ქარები ქრიან...
მე გზასთან ვზივარ
და ველოდები მომავალს მზიანს...
ქარები ქრიან
ძალიან ცივა.
გაყინულ სკამზე
მე მარტო ვზივარ...

უსახელო გმირები

ეჰ, ერო ქართველნო,
მრავლად ნატანჯო ჩემო სამეფო...
ეჰ, მინავ ჩემო,
ნაოხარო, შენ ქართლ-კახეთო...
კრწანისის ველო,
ბობოქარო სისხლის ტალღებო...
ვინ არს მსოფლიო,
თქვენს წინაშე გმირო ქართველნო?!
უმწეო ხალხო, გაიხსენეთ მათი სახელი!
ვინ არს ის გმირნი,
ვისითაც ხარობს ყველა აღმზრდელი?
ვინ არს ის ხალხი?

გთხოვთ, მითხარით მათი სახელი!
რომ არა თქვენ, არ იქნებოდა სიტყვა ქართველი!
რომ არა, თქვენ უსახელო გმირო მამებო...
იარსებებდა განა სიტყვა ვით საქართველო?!

ჩიბურდანიძეთა გზარის დალოცვა

ია ვარდით გაგვიტენდეს
ჩიბურდანიძეებს დღეო.
დაილოცოს ჩვენი გვარი,
საამაყო დაგვმშვენდესო.
ია-ვარდით გაგვიტენდეს
ჩიბურდანიძეებს დღეო.
აბა, ყველამ ერთდროულად
ყანნი ხელში აიღეთო,
ადღეგრძელეთ, მოეფერეთ
და სიტყვებით ქარგეთ დღეო.
მე, როდესაც მომმართავენ
ჩიბურდანიძის ქალიო,
გულში ცეცხლი ამენტება,
სიხარულით ვმღერდებო.
კვლავ გლოცავთ და გადღეგრძელებთ,
ღმერთი იყოს მფარველიო.
არ მოგაკლოთ ბედნიერი
სიყვარულის სახელიო.
ოჯახს ჰქონდეს კარგი წლები,
ბედნიერად ქრის ქარიო.
ვასახელოთ წინაპარნი
გახარებს მოყვარესო,
დაილოცოს ჩვენი გვარი,
საამაყო დაგვმშვენდესო.

P. S. ნინო ჩიბურდანიძეს თვალი მაღალ პოეზიაზე უჭირავს. მისი ოცნებაა, გამოსცეს საკუთარი ლექსების კრებული. ყველა ოცნების ასრულებას ვუსურვებთ ნორჩ შემოქმედს. გზა დაველოცოთ!

პირის მიხველაძე

იმ, სადაც მოძღვრები უპილესს ანდობენ



თბილისის 156-ე ბაგა-ბაღის დირექტორმა, ქალბატონმა ელენე თურმანიძემ და მე ბახილები მოვირგეთ და ასე გავემართეთ ერთ-ერთი ჯგუფის მოსახარებლებად.

თითქმის სტერილური, თანაც გემოვნებით, ხალისის მომგვრელად და პრაქტიკულად გაფორმებული გარემოა. თურმე, ყოველკვირეულად ტარდება დეზინფექცია. მართლაც რომ ქათქათებს ყველაფერი.

პირობითად, მშობელთა ოთახში გაკრულია დღის რეჟიმი, მენიუ. აქვეა ადგილი მშობელთა წინადადებებისა და შენიშვნებისთვის. ანუ ყოველმა მშობელმა იცის, რა მიირთვა იმ დღეს მისმა შვილმა, რა შეისწავლა, რით გაერთო...

თავის სარგო სკამებზე წამოსკუპებული პატარები თვალეზად ქცეულნი უსმენდნენ ზღაპარს. მომენონა ორი „ტერემოკი“. ერთს სახლი აწერია, მეორეს – ბაღი. შევა დილით აღსაზრდელი ოთახში, ამოიღებს თავის ფოტოს „სახლიდან“ და „ბაღში“ ჩადებს. საღამოს – პირიქით. ასე აღმზრდელებიც მყისვე იგებენ, ვინ აცდენს ბალს იმ დღეს და ბავშვებიც ერევიან წესრიგს. საფუძველი ეყრება პასუხისმგებლობის გრძობას. ცხადია, ასე მთელ ბაღში.

ელენე თურმანიძე: „ჩვენ ვართ ბავშვებზე მორგებულნი და არა – პირიქით. შენიშვნაც კი დაყვავებით, მოფერებით უნდა მისცე. ხომ ძალზე ადვილია პატარის გულის ტკეპა. გამორიცხულია ბავშვმა სითბო,

მზრუნველობა იგრძნოს და არ წამოგყვეს“.

ქალბატონმა ელენემ ან უკვე ყოფილი სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა დანყებითი კლასების მასწავლებლის სპეციალობით და მუშაობა მცხეთის რაიონის ვარდისუბნის 4-ნლიან სკოლაში დაიწყო გამგე-მასწავლებლად. ასეთი ნდობა რომ გამოუცხადო დამწყებს, აუცილებლად უნდა დაინახო მასში მოწოდებით პედაგოგი.

1992 წელს ამ ბაღში მივიდა აღმზრდელად. 2007-ში – მოადგილედ დაინიშნა. 2009-დან კი დირექტორია.

ბაღის ყველა საფეხური ხომ გაიარა, მაგრამ კიდევ ესაა მნიშვნელოვანი: სკოლაც იცის, თანაც, სწორედ – დანყებითები, ანუ ის კლასები, რომელთათვისაც სკოლისათვის მზაობის პროგრამით ამზადებენ პატარებს. როგორ ამზადებენ?



აგერ, დამოუკიდებელი საერო გიმნაზიის „შავნაბადას“ მადლობის სიგელი ყმანვილების სკოლისთვის საუკეთესოდ მომზადებისთვის.

აქვეა ისინი რაიონის გამგეობის სიგელი 2017 წლის „თბილისობაში“ აქტიური მონაწილეობისთვის; ბაგაბაღების სააგენტოს გამოფენა-გაყიდვა „პატარა ხელებში“ წარმატებისათვის; სურსათის უვნებლობის სამსახურისა და კატასტროფების რისკის შემცირების ტრენინგების გავლის სერთიფიკატები...

ბაღში ბავშვების უსაფრთხოება მაქსიმალურადაა დაცული. ეს ტრენინგები ძალზე ეხმარება პატარებს სათანადო ვითარებაში ალლოიანობის, შიშის დაძლევისა და საღად აზროვნების, სწრაფად მოქმედების უნარჩვევების გამომუშავებაში. ბაღში სასწავლო განგაშებსაც იყენებენ. ყოველმა აღსაზრდელმა იცის თავისი ადგილი.

ელენე თურმანიძე: „ბაგაბაღები ასე კეთილმოწყობილი არასოდეს ყოფილა. აგერ, სამზარეულო აღიჭურვა ახალი მაცივრებით, გაზქურებით, ცომსახელით. ახლა სათამაშოები, სახელმძღვანელოები, ინვენტარი, რემონტი. ასეთ პირობებში კი მართლაც თავდადებულად უნდა იმუშაო. ადამიანს საფიქრალ-საზრუნავს რა გამოუღვეს, მაგრამ, როცა ბაღის ზღურბლს გადმოაბიჯებ, ყოველივე პირადული იქ, მიღმა უნდა დატოვო. აქ შენა ხარ და ბავშვები. თუ ეს არ ძალგის,

აკოფოვი, ეკატერინე მღებრიშვილი, ნანა მელქაძე, ნინო კვანტრიშვილი, ია ფოღიაშვილი, ნანა გიორგობიანი.

დირექტორის მოადგილე მაკა ჯიბუტი; საგანმანათლებლო

ვარდ ჯუღელი; დამხმარე მუშა თამაზ ჩიკვილაძე.

ბაგა-ბაღების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს – კახა გვანცელაძე. ატყდა ვაი-უშველებელი, არიქათ, ბავშვებს



პროგრამების კოორდინატორი **თამარ დვალი;** ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორები **ელისო ჭუმბურიძე** და **ლალი ჯანკაშვილი;** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **სოფიო ავეტისოვი;** სპეციალური პედაგოგები **ნანი ქადაგიშვილი** და **ვერა ხურცილავა;** ფსიქოლოგი **ნათელა ბედიანიშვილი;** ლოგოპედი **ნათელა ჭამპურიძე;** ცეკვისა და მუსიკის პედაგოგები **ქეთევან ახალკაცი,** **ბელა კამლაძე** და **ნინო ხვედელიძე;** საქმისმწარმოებლები **ლალი მაყიშვილი,** **ხათუნა მახარაშვილი** და **მალხაზ უჯარაშვილი;** მზარეული და მისი დამხმარეები: **ნანა გელაშვილი,** **ქეთევან ასპანიძე,** **ნელი მწარიაშვილი,** **მზია ნიქარიშვილი** და **ხათუნა მუშლაძე;** მრეცხავები **ასმათ კაციტაძე,** **მარო თომავი,** **ხანუმ ხუდოიანი,** **ნინელი**

ამშვეენ, კვების რაციონი შეუმცირესო...

ელენე თურმანიძე: „არაფერი მსგავსი. სპეციალისტებმა იმსჯელეს და დაადგინეს, რომ ადრე დაწესებული ყოველდღიური 1581 კალორია ვნებდა პატარების ჯანმრთელობას და სწორედ კალორიულობა შეამცირეს – 1292 და არა – რაციონი.“

ბევრი ძალზე სასიხარულო სიახლე იგეგმება. გვეჯერა, დაპირებები აუცილებლად შესრულდება. მშობლებისათვის საყურადღებო – ბაგა-ბაღების მომსახურების 2 სათით გაზრდაა განზრახული. ანუ, 18 საათიდან – 20 საათამდე. მაგრამ ვერაფერი გამიგია იმ მშობლებისა, შაბათ-კვირასაც რომ არ უნდათ შვილები შინ ჰყავდეთ. ამ დღეებშიც მათს ბაგა-ბაღებში ყოფნას მოითხოვენ“.



გაჩინაშვილი. მაკა ბრეგვაძე და თამილა დავითაშვილი; დამლაგებლები **ლელა ლობჯინიძე,** **მარინა კორინთელი,** **თამარ ნასარიძე,** **ნათელა არაბული,** **ლუიზა თათარიძე,** **მარინა ხუჭუაჯულაყიძე,** **ზაირა მახარაშვილი,** **ეთერ ბერაძე,** **თამარ ყამერაშვილი;** დარაჯები – **ზვიად დავითაშვილი,** **შაქარ ადუაშვილი** და **კობა ტაბატაძე;** მეუბოვე ედ-

გაგისხარიათ, კარგია კარგი სიახლეები. მით უფრო, თუ ისინი ბავშვების საკეთილდღეოდაა გამიზნული. 156-ე ბაგა-ბაღის მთელი შემოქმედი, მიზანსწრაფული, პატარებზე შეყვარებული კოლექტივიც მზადაა მათი გონივრული დანერგვისათვის.



ღმერთმა დაბლოცოთ, 91-ე ბაგა-ბაღელებო!

დაღობრივია აქ გზისგანაღობა



მზესავით განათებული თბილისის 91-ე საბავშვო ბაგა-ბაღი „ონავერები“ – ეს ის კომფორტული გარემოა, სადაც ბავშვებს სიამოვნებით მიუხარიათ, მშობლებმა კი იციან, რომ მათი შვილები საიმედო ხელში არიან.

„ონავერები“ დირექტორი ნანი ჯანელიძე ორი წელია, რაც ამ ბაღში დაინიშნა. პროფესიით, საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელისა და მედიცინის დის სპეციალისტია. შემდეგ კონსერვატორია დაამთავრა ოპერის მომღერლის განხრით, თუმცა ქუთაისის ოპერის თეატრში მოღვაწეობა ოჯახის გამო დატოვა და თბილისის მე-100 სკოლაში დაიწყო მუსიკის მასწავლებლად მუშაობა. 1994 წლიდან 17 წლის მანძილზე, იგი 90-ე ბაგა-ბაღის დირექტორი იყო და თითქმის მინასთან გასწორებული დანერგვების ფეხზე დააყენა. ბაღს აქაც დაატყო მზრუნველი ხელი. ახალი წლიდან დირექტორი ახალი ინიციატივით გამოვიდა და

დღეს ჩვენ მშობელი გვესწრება. იგი, გვემის მიხედვით ჩატარებულ აქტივობებს ეცნობა“.

ასმათ ჩიკვილაძე, მშობელი: „ვაკვირდები, როგორ ატარებს მასწავლებელი მეცადინეობებს, როგორ ექცევიან ბავშვებს. საუბრე-სადილიც შევამონზე და ძალიან გემრიელი იყო, მომხრე ვარ ნაკლებმარლიანი საკვების. ქალბატონ ნანის და მარინე მასწავლებელს მადლობა ჩემს შვილებზე ზრუნვისთვის“.

ამჟამად, ბაგა-ბაღის 6 ჯგუფში 226 აღსაზრდელია. 4-5 წლიანთა ჯგუფი „ფუტკრები“ – აღმზრდელი - მარინე ციციქიშვილი, აღმზრდელის თანაშემწე - ნანა

ემნე - მაია ნათენაძე.

ბავშვებისათვის შესაფერისი სივრცე-გარემოს შექმნაში დირექტორისათვის საიმედო დასაყრდენია მისი მოადგილე – ლია ზამთარაძე და თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი თეა ტვიძე.

ცეროდენების სწავლებასა და აღზრდას პროფესიულ დონეზე წარმართავს მეტოდისტი მაია მდივანი: „ყველა ჯგუფში ტარდება აქტივობები. სასკოლო მზაობის პროგრამა, ამ მხრივ, უფრო მეტად დატვირთულია. მაგალითად, საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები, წყლის წვეთის მოგზაურობა – როგორი სახით გვხვდება



კვირკველია; 5-6 წლიანთა ჯგუფი „ჭიამიები“ – აღმზრდელი - ნანა ავალიანი, აღმზრდელის თანაშემწე - დინარა ვეფხვაძე; 2-3 წლიანთა ჯგუფი „ვარსკვლავები“

ის ბუნებაში. ბავშვები ეცნობიან პროფესიებს, ასრულებენ როლურ თამაშებს. ყველა ცენტრში გვაქვს ბრწყინვალე თვალსაჩინოებები.“

ქალბატონი ნანისთვის მუსიკა განსაკუთრებით ფაქიზი თემაა და პედაგოგი ელისო დემეტრაშვილიც სწორედ მუსიკის მადლს აზიარებს ცეროდენებს. აქტიურად არის ჩართული მუსიკალურ აქტივობებში ცეკვის მასწავლებელი ანა აბულაძე.

საუკეთესო სპეციალისტები: ლოგოპედი – ცილა კუპატაძე, რომელმაც ბევრ პატარას დაუხვეწა მეტყველების კულტურა, ფსიქოლოგი – ირმა მუჯირი, რომელიც თითოეულ მათგანს ინდივიდუალურად უდგება და სპეც. პედაგოგი – მაია ნამოლაძე, ყველაფერს აკეთებენ პატარების ჯანსაღი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და ინკლუზიური გარემოს შექმნისათვის. ამავე დროს, ცილა კუპატაძე ბაგა-ბაღის გალაშქრებასა და ყველა იმ სამშენისზე ზრუნავს, რომელიც შენობაში შესვლისთანავე ამკარად თვალში-საცემია.

როგორც სამეურნეო ნაწილის კოორდინატორმა ნანა ყორყიკაშვილმა განგვიმარტა, პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც დღის მანძილზე ბაღს არ დასჭირდა, მაგალითად, ხორცი, რძის პროდუქტები და სხვა, სუფთად შეფუთული და მაცივარში შენახული, მიმწოდებელ კომპანიას უბრუნდება.

იაშუ სიმონიშვილი, ექთან: „მენიუში ცოტა ხარვეზები შეინიშნება, ზოგჯერ ორი ცილა ერთად არის – ცხველეული და მცენარეული. თუ მარილი უნდა მიიღოს ბავშვმა ნაკლები დოზით, მაშინ სასურველი იქნებოდა, რომ ეს შეაქარზეც გავრცელებულიყო



აღმზრდელი: ნანა დურგლიშვილი, თეა ფუთურიძე (მე-2 ცვლა), აღმზრდელის თანაშემწე - კარინა ეგანი; 4-5 წლიანთა ჯგუფი „ცეროდენები“ – აღმზრდელი: ლალი წურწუშია, რიმა ჩხეტანი (მე-2 ცვლა), აღმზრდელის თანაშ-

და რატომ უნდა, ეს ყველაფერი ნელ-ნელა უნდა მომხდარიყო. პროდუქტი ხარისხიანია და ჰიგიენურად კარგად დაცული.“

ნანი მადლიერია, დიდუბის რაიონის გამგეობის და პირადად ირმა ზავრდაშვილის, იმ უდიდესი ყურადღებისთვის, რომელსაც ისინი



სოფიკო ბასილაძე, მშობელი: „ბაღში დიდად მშობელთა ჩართულობა. ატეხილი აუთოტაუის შემდეგ, ჩვენი სურვილი იყო გაგვეკონტროლებინა სამზარეულო. ყველაფერი ნორმის ფარგლებშია, ჰიგიენა – დაცული, პროდუქტი – ხარისხიანი. გამზადებული საკვები გაფრინდა, შეაქარზე არ მაქვს პრეტენზია, ნაკლებ მარილიანი მართლაც არის. ვისურვებდი, ნელ-ნელა მომხდარიყო დოზის შემცირება. ერთიც არის, კარაქიანი პური დღის საუბრეზე უნდა იყოს, რადგან არის ბავშვთა კატეგორია, რომელიც ფაფას არ მიირთმევს. ქალბატონი ნანის ამ ინიციატივამ გაამართლა, ნანასის განსაკუთრებით ფაქიზი თემაა და პედაგოგი ელისო დემეტრაშვილიც სწორედ მუსიკის მადლს აზიარებს ცეროდენებს. აქტიურად არის ჩართული მუსიკალურ აქტივობებში ცეკვის მასწავლებელი ანა აბულაძე.“

სკოლამდელი აღზრდის დანერგვების მიმართ იჩენენ. სიახლეებია ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან ურთიერთობების.

ნანი ჯანელიძე: „სააგენტოს ახალი ხელმძღვანელის, ბატონი კახა გვანცელაძის განაცხადი დირექტორებთან, რომ მე თქვენთან ყველასთან ვიმეგობრებ, ყველაფერი ვაკეთოთ სკოლამდელთათვის და ისიც, რომ თქვენთან მონიტორინგი შემოვა არა იმისთვის, რომ დინახონ მხოლოდ ცუდი, არამედ დაგარიგონ და გასწავლონ, რათა შემდგომში შეცდომა არ დაუშვათ – ჩემთვის, მისასალმებელია. რაც შეეხება, კვებასთან დაკავშირებით ატეხილ აუთოტაუის – ნამდვილად არ არის დასაწინააღმდეგებელი კვება, ძალიან ხარისხიანი პროდუქტი შემოდიხ. თავდაპირველად, მცირედდენ დაგვიანებას შეეხებოდა ადგილი, რაც ბაღში



თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილ სამზარეულოში ამზადდებიან. ბაგა-ბაღის სისუფთავეზე ზრუნავენ დამლაგებლები: ტატინა რეშეტოვა, ლილა ნამალაშვილი; ჭურჭლის მრეცხავები – დალი კაპანაძე, გურანდა ჩიკორია, ეთერ თეიაშვილი; მებლავ სტეფანა ბაბანიანი; როგორც წესი, თავის საქმეს ყველა პირნათლად ასრულებს და დირექტორი ტექნიკური პერსონალის მადლიერია, ესენი არიან – გიორგი მოსიძე, თამაზ მისურაძე (დარაჯები), მამუკა ხუტაშვილი (მუშა).

არ შეიძლება, რადგან ჩვენ არ გვაქვს ალტერნატიული საკვები და ბავშვი მშვიდი არ უნდა იყოს. ასევე, მიზანშეწონილი იქნებოდა, ნაკლებმარილიანი საკვებზე თანდათანობით გადასვლა და ჩაისა და კარაქიანი პურის ჩასმა მენიუში, რადგან გამოცდილებამ დაგვა-

წინა ხელისუფლების დროს, არასწორად ჩატარებული კონკურსის გამო, სადაც ნანი ჯანელიძეს უფლება არ მისცეს მასში მონაწილეობა მიეღო, 7 წელი საყვარელ საქმეს იყო ჩამოშორებული. როგორც იტყვიან, სამართალმა იხეიმა და დღეს მისი ხელმძღვანელობით, ბავშვთა აღზრდის ამ კერაში, ყოველი დღე გამორჩეულია, დატვირთული და ხალისიანი. დირექტორის ძალისხმევით, ერთი დიდი პრობლემა მოგვარდა – დაიგო და მოწესრიგდა მისასვლელი გზა. ქალბატონი

ნახა, რომ ყველა ბავშვი ფაფას არ ჭამს.“

დირექტორი და მთელი კოლექტივი მაღალ შედეგებზე არიან ორიენტირებულნი, ასეთი მუშაობით წარმატებას აუცილებლად მიაღწევენ.

ბანბების ნებით, მინიხი მუშაობით



ფიზიკის, ანუ, საზოგადოდ, ბუნების კანონით, ერთნაირად დამუხტული სხეულები განიზიდება. მაგრამ განგებას კაცობრიობისათვის აუცილებელი ასეთი „უცნაურობაც“ მოსდგამს: ნიჭით, ნებით, უნარით, სიყვარულით ერთნაირად და ერთიანად დამუხტულ და ანთებულ ადამიანებს, დიდებული ქართული სულისკვეთება რომ ჰქვია, შეახვედრებს, „ერთ სულ და ერთ ხორც“ შეადუღაბებს და ერისა და ქვეყნისათვის მსახურებად ხელდასხამს.

ჯუმბერ ლეჟავა: იუნესკოს მსოფლიო დესპანი; მსოფლიო სპორტსმენი; გაეროს ბუნების დაცვის ელჩი; გინესის მრავალგზის რეკორდსმენი; მსოფლიო ველომოგზაური; სახალხო დიპლომატი; სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენის კავალერი; საქართველოს – 2002 და მსოფლიოს 2009 წლების ადამიანი; მსოფლიოს მრავალი ქალაქის (თბილისისა) საპატიო მოქალაქე; ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლებით დაჯილდოებული; აშშ-ის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედალოსანი; ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე; 5 აკადემიის აკადემიკოსი; ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის – 400 და აშშ-ის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მსოფლიოს 500 წარჩინებულის სიაში შეყვანილი.



ანუ, კაცი სიცოცხლეშივე ლეგენდა. ბევრი დიდი მოგზაურისგან – მაგელანი, კოლუმბი, ვასკო და გამა, კუკი... განსხვავებით – ჭეშმარიტი მშვიდობის დესპანი.

გულნაზ ხარაიშვილი: ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი; ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი; პოეტი; ფაზისის საერო აკადემიის აკადემიკოსი და გამგეობის წევრი; მწერალთა კავშირისა და გამგეობის წევრი; გალაკტიონ ტაბიძის,

ბეჟან ხარაიშვილისა და მარიკა ბარათაშვილის პრემიების ლაურეატი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; იაკობ გოგბაშვილის სახელობის მედლითა და აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურების კავშირ „დიოსკურია-2005“-ის მშვიდობის ვარსკვლავითა და დროში დაჯილდოებული; 10 ნიგნის ავტორი.



2003 წელი. პირველი შეხვედრა. ქალბატონ გულნაზის ნაკითხული მისთვის მიძღვნილი ლექსი და ბატონი ჯუმბერის აცრემლებული თვალები და მიწვევა ჯუმბერ ლეჟავას ფონდში.

მანამდე კი იყო საჩხერის რაიონის სოფელი ზვანი; ჭილოვანის საშუალო სკოლა, ახლა რომ ქალბატონ გულნაზის ტრაგიკულად დაღუპული უმცროსი ძმის, უნიჭიერესი პოეტის, გულქართლი ახალგაზრდის ბეჟან ხარაიშვილის სახელს ატარებს, რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, სხვადასხვა სამსახური და – 2003 წელი.

ესეც უწყის განგებამ: საცა უნდა იყო, რა საქმესაც ადგე, როცა იქნება, მოგკიდებს უჩინარ ხელს მფარველი ანგელოზი და იმ ადგილზე დაგაყენებს, რისთვისაც მოველინე ამ ქვეყანას. თავის ანგელოზმა ბატონ ჯუმბერს შეახვედრა და კუთვნილი ადგილიც მიუჩინა – აკადემიის პრეზიდენტი, მთავარი რედაქტორი... და კიდევ ერთი „უცნაურობა“: შიდა ქართლიდან ლტოლვილმა, მაგრამ ღვთის ნებას მინდობილმა გულნაზ ხარაიშვილმა სამთავროში ბერი გაბრიელის საფლავეზე ილოცა, შეავედრა ბედკრული სამშობლო, ეაჯა, მომეც ძალი, რათა ვემსახურო, მტლად დავედოო. და მეორედღეს, ისე, რომ მანამდე ლექსების წერა აზრადაც არ მოსვლია, ღვარად წამოვიდა რითმები...

დაარსდა ჟურნალი „ათინათი“. გასაოცარი ჟურნალი – იგი კულტურის, ხე-

ლოვნებისა და მეცნიერების ყველა დარგს მოიცავს. ნიჭიერ შემოქმედთა აღმოჩენა და დაკვალიანება, საერთაშორისო კავშირები და კონფერენციები მსოფლიოს აქტუალურ თემებზე. აი, ძალზე მწირი ჩამონათვალი იმ დიდი შემოქმედებითი მუშაობისა, რასაც ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ფონდი, მისი გარდაცვალების შემდეგ აკადემიად რომ დაფუძნდა, ეწეოდა და ეწევა ქალბატონ გულნაზის ხელმძღვანელობით. აგერ, „ათინათის“ 26-ე ნომერში, სხვა ძალზე საინტერესო მასალასთან ერთად, დაიწყო მღვდელმონაშემ სარაფიმეს (ჩიჩაგოვის) უაღრესად საყურადღებო ნაღვანის ბეჭდვა. იგი გვასწავლის, როგორ გამოვიჯანმრთელდეთ მისი მეთოდის მიხედვით. და ნიშანდობლივია, რომ ჟურნალის ყოველი ნომრის წარდგენა სიონიდან – მიუფე მირიან იორამაშვილის საფლავიდან იწყება. შემდეგ, ამაღლების ტაძრის წინამძღვრის მამა ამირან ამირანაშვილის წინამძღოლობით – ბერი გაბრიელის საფლავი, დაბოლოს, საჯარო ბიბლიოთეკა ან მწერალთა კავშირი.

ჩვენი გაზეთისთვის ყველაზე ახლობელი, სათუთი თემა – მომავალი თაობა. „ათინათი“ ეძიებს და ჰპოვებს კიდევ ნიჭიერ ყმაწვილებს მთელ საქართველოში, ბეჭდავს ჟურნალსა და ანთოლოგიებში მათს შემოქმედებას, გზას ულოცავს; თა-

ვის ძალებში არწმუნებს და, ამავდროულად, თავმდაბლობას აჩვენებს „ნორჩ ათინათელებს“.

როგორ? თუნდაც ასე: ყმაწვილები მათთვის



საინტერესო საკითხებზე ინტერვიუებს ინერენ ქვეყნის ცნობილ ადამიანებთან.

წარმოვიდგინოთ: მოზარდს პირისპირ უზის პიროვნება, ვისზეც ამდენი სმენია. ალბათ, როგორ ნატრობდა მასთან შეხვედრას და სახელოვანი ინტერვიუერი ლალად, პატივისცემით, როგორც თანასწორს ესაუბრება მას.

დაარწმუნებს ეს მოზარდს, რომ მიუღწეველი არაფერია, ასწავლის თავმდაბლობას? ცხადია.

ეძიებს და ჰპოვებს-მეთქი.



ურეკი. ზღვა. საოცრად წკრილა ხმა: „ლალე, ლალე...“

ქალბატონმა გულნაზმა, პირდაპირ ზღვიდან ამოიყვანა მარიამ ხვედელიძე ახლა რომ ვოკალს ეუფლება.

ლაგოდებელი ტატო ხარატიშვილი, X კლასის მოსწავლე; შიდა ქართლიდან ლტოლვილი, პოლიტექნიკური აკადემიის სტუდენტი ილია ზაქარიაშვილი, ლიზი ნადირაშვილი – დიდი მომავლის პოეტები.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ღვანაზე. მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ, რადგან საქმეს ისეთი პირი უჩანს, რაგინდ ბევრი ვთქვა, სათქმელი მეტი დარჩება.

ამასლა დავურთავ: აკადემია 145 წევრს მოითვლის. ღირსეულთათვის მისი წევრობის გზა ხსნილია. ყველა ერთგულია ჯუმბერ ლეჟავას მაღალი იდეალებისა, რაც მასზე გადაღებულ ფილმშიც აისახა, ჩვენებას რომ მთელი მეცნიერებათა აკადემია ესწრებოდა.

ერთგულია გულნაზ ხარაიშვილის ლექსად ჩამოსხმული აკადემიის ფიცისა:

რამდენი ლექსი გიძღვნი, მაგრამ სიტყვა ვერა ვთქვით შენი საქები, ვეფერებოდით შენს ჯიშს და ნაგრამს, კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი. შენი სახელის უკვდავებისთვის, სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვლებთ, კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,

არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ. თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე, ნაბიჯს ავანყობთ ნიკოფსიიდან, ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე, და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.

ამინ!

კონსტანტინე გურბანიძე

ხედომწერია საყურადღებოდ!

გაზეთ „სახალხო განათლება“-ის გამომწერა შეგიძლიათ უფრანაღაზეთების გამაგრებელ სააგენტოებში „მაცნესა“ (ტ.2 143 906) და „პლანეტა ფორტეში“ (ტ.2 988 990) ან რედაქციის ანგარიშზე: ს/ს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCGBGE 22 მიმღები: პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი: სახალხო განათლება+ ა/ა GE94TB7249236080100007 ს/კ 402010587

ჩარიცხვით 10 ლარი – ექვსი თვით, 20 ლარი – ერთი წლით, გამოგზავნით ელ-ფოსტაზე saxgani@gmail.com და მანდვე მოგვწეროთ მისამართი. მიიღებთ ყველა ნომერს მითითებულ მისამართზე.

რედაქცია

გაზაფხულის გვესმის სუნაჩქა-ქრიაკული



ლეილა ვაჩკორია

მორიდებით მოგვიტანა ლექსები. ლეილა ვაჩკორია პედაგოგია. მისი ლექსების უმეტესობა საბავშვოა. პედაგოგი ცეროდენების გულებთან მისასვლელ გზებს ეძებს და უპოვინა კიდევ. მამულის სიყვარული მშობლიური ბუნების აღქმა-განცდით ინყება. გაზაფხულის სუნთქვა და ჟრიაბული შორიდან გვესმის. ლეილა ვაჩკორია ბარაქიანი ავტორია საქართველოში პოპულარულ ჟურნალ „ათინათისა“ და „ანთოლოგიისა“, რომლის რედაქტორი გახლავთ ერუდირებული

ჟურნალისტი და ჩინებული პოეტი გულნაზ ხარაიშვილი. აქ წარმოდგენილ ლეილას ლექსებს რომ გავეცანი, ძალიან მომეწონა. ის გვასწავლის, რომ ენას და მამულს გადარჩენა უნდა. ვურჩივ: თავისი პოეზია წიგნად აეკინდა და გამოეცა. ჭკუაში დაუჯდა. წარმატებას გისურვებთ, ლეილა! ახლა კი რედაქციაში მოტანილი თქვენი ლექსები დავაჭაშნიკოთ!

ჩემო ია

ჩემო ია, ლურჯი კაბა სულ ცინცხალი გაცვია, არც ეკალი გეკარება აღარც ლობის ქაცვია. ჰოდა იყოს ფეხშიშველი, გიოს თავზე ახია სულ ახალი „ბოტასები“ ერთ კვირაში დახია.

შენარე უისო

თავუნები სიცილით სულ კვდებიან ბელელში: – ასე თავისუფალი არ ვყოფილვართ ჩვენს დღეში. აი, ბედნიერება! ყელამდე ვართ მარცვალში, ო, როგორ გაგვიმართლა ამ სუსხიან ზამთარში. ასე უქნარა ფისო არ გვინახავს არასდროს, ბუხრის პირას მძინარე ნატავი, რას დარაჯობს?

ცელქები და ბებო

ბავშვებმა აურზაურით სულ აიკლეს ეზო, ერთმანეთს ეჯიბრებიან ერეკლე და ბესო. დააკაუნებს ქუსლებზე მეტიჩარა ნინი,

აქეთ სოფომ ტიტინით ხომ წაილო ტვინი. ახლა ცეკვას არ იტყვივთ? აინყვივა ევამ. ბებოს ამდენ ხმაურში აუნია წნევა.

მოიპაპის გაზაფხული

მერცხლის გუნდი მოფრინდა, მოფრინილა წეროც და ყინულს ფეხი დაუცდა სახურავის წვეროდან. ჟრიაბული მოისმის მინდვრებიდან, მდელიდან: – გაზაფხულო, ენძელა იცი, როგორ გელოდა? ჩითის კაბა ჩაიცვა თვალწუწუნა იამაც, ქარი ჩადგა, ყვავილებს გაუღიმა ნიავმაც. ჩაიარა ზამთარმა ჭირხლით, თოვლით, ყინვითა, ზამთრის დღეებს ბებიკო სულ თითებზე ითვლიდა.

მომხრე

ფანჯარაში ისე იჭყიტება მთვარე, ვერ იძინებს გიო აბრიალებს თვალებს. ხვალ სოფელში მიდის ლალე, ლალე, ლალე, აბა ვნახავ, იქაც თუა, ამისთანა მთვარე.

საქართველოს კახი

ვაზს დაუსო კაცმა ჭიგო უღვამს უთვლის ღერა-ღერა, უაღერსებს, როგორც პირმშოს და ლილინებს ოროველას ყანას მარგლის, ეზო-ბაღი ყვავის, როგორც ედემია, მისი შრომით, მისი გარჯით ეკალი არ მოდებია. თავს არ განყენს ცრუ ყბედობით მისთვის წყნარად დაგურგულებს და გვასწავლის, შვილნო ჩვენო, მამულს როგორ ვუერთგულოთ. სამშობლოსთვის თავს გასწირავს მტერმა რომ არ გადათულოს, მწყემსიც არის, მშენებელიც ამ კაცს უყვარს საქართველო.

ზომიერთ ახალგაზრდას!

ჩაფი პინა ყალბი ცხოველები?


მე, შენ მოგმართავ, მოყვასო ჩემო, შენი ცხოველების წესსაც ვამხილებ თუნდ ეშაფოტზეც რომ დამაყენონ არ ვერიდები შენზე სამხილებს.

ვერც ტარიანი ვერ მოგცემს შვებას, ვერც სუბოტექსი და ვერც ჰამიში, რომ დღენიდაგ ამწარებ დედას უფრო და უფრო ხდები საშიში.

გაბრუებული უზიხარ ეკრანს სულ სხვაგან მიჰქრის შენი გონება იქ რალას ეძებ ვიცოდე, ნეტავ, რად არ გსურს ჩემი ხმის გაგონება?

შენ არას გარგებს ამგვარი ყოფა დღისა და ღამის მუდამ არევა, კაცის ვალია მარად სრულყოფა და არა მხოლოდ ჭამა-დალევა.

სოსო ფირცხალავა



დიდი პედაგოგის არღამიწყება

ისეთების, როგორიც არიან და იყვნენ: თამაზ ტატიშვილი, დემურ კალანდაძე, მერი აფხაზავა, თემურ კიკნაძე, აკაკი კვიციანი, ამირან მათითაშვილი, ოთარ თეთვაძე, გრიშა კობახიძე და სხვა მაღალი რანგისანი.

რომან მოსეშვილი — მარადისობაში

დაამთავრა დედაქალაქის მე-10 სკოლა, შემდეგ თბილისის მაშინდელი ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის რუსული ენა-ლიტერატურის ფაკულტეტი. მისი პედაგოგიური დებიუტი შედგა საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლაში. მალე გადმოიყვანეს დედაქალაქში და აქ გატაცებით შეუდგა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ისევ პედაგოგიურ ასპარეზს დაუბრუნდა.

იყო ეკონომიკური კოლეჯის დირექტორი, შემდეგ კი უნარიანად უძღვებოდა თბილისის მე-15 სკოლას. აქ ხუთი წელი იღვანა და თბილისის მე-11 სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. ამ სკოლაში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა. განაახლა, გააძლიერა ეს სკოლა. მხარში ამოიყენე ბიზნესმენი გოგი თოფაძე და განამტკიცა

სასწავლო-მეტერიკული ბაზა, მოანეს-რიგა ინფრასტრუქტურა. უფრო მეტი, შექმნა სკოლის ისტორია-მატიანე. პედაგოგ ჰამლეტ ჩხენკელთან და ჟურნალისტ აკაკი ჯიქიასთან ერთად გამოსცა დიდებული წიგნი: „დედაქალაქის მეთერთმეტე – გუშინ, დღეს... რა იქნება ხვალ?“ ამავდარს არსაკიძის ბედი ერგო: განათლების ყოფილმა მინისტრმა შაშკინმა

ასე „დაუფასა“ ღვანლი, დირექტორობიდან გაათავისუფლა. შემდეგ პედაგოგად მუშაობდა რკინიგზის ინსტიტუტში, 63-ე სკოლაში. ბოლოს გაზეთ „სახალხო განათლება“-ის აქტიური თანამშრომელი გახდა.

ვინც მას იცნობდა, დაგვეთანხმება: იყო შრომისმოყვარე, ერთგული ოჯახისა, შვილების, შვილიშვილების, კოლეგების, მეგობრების, ორატორი, ქართული სუფრის მშენებელი. ნათელში იყავ, რომან მოსეშვილი, მსუბუქი და თბილი იყოს შენთვის მშობლიური თბილისის მინა!

კოლეგები, მეგობრები, გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეზონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N2 (4561)
14 თებერვალი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

